განკარგულება:**გ-63. 632324713**
თარიღი:**04/09/2023**

ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის, პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978) სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში მდებარე 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის, პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978) სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი, (დანართი №1) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადასცეს ს.ს. ,,სილქნეტს" (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978).

1.2. ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობის ვადად განისაზღვროს 05 (ხუთი) წელი.

1.3. ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობის წლიურ საფასურად განისაზღვროს 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარი (05 წლის სარგებლობის საფასური 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარი).

1.4. ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობისათვის, საფასური განაწილდება ყოველ თვეზე და გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

1.5. ს.ს. ,,სილქნეტს" ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული

ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) გადაეცემა მათზე ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის.

1.6. ს.ს. ,,სილქნეტი" ვალდებულია, ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემ ბოძზე, (დანართი №1) ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებით არ შეზღუდოს ქალაქ სამტრედიაში მდებარე 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) ელექტროგადამცემ ბოძებად გამოყენება.

1.7. სამტრედიის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ზემოაღნიშნული ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) სარგებლობაში გადასცეს ასევე სხვა პირს.

დანართი №1

ქალაქი სამტრედია, ბაგრატიონის ქუჩა	უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №34.00.165
ქალაქი სამტრედია, კრავეიშვილი ქუჩა	უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №34.00.117

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი